

ახალი

ქანთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც
სამშობლოსათვის უძგერს გული.“



14 -24 დეკემბერი 2013 წელი №23 № 8057 ადრესი: axaligantiadi@gmail.com.

სოვლემი სარეაბილიტაციო
სამუშაოები დაიწყო გვ.

„ჯაიღალბარგხევენო ჯორჯიანს“
ქანთის მუშაობის ქარხანა სპორტულ
მოედანს აშენებს გვ

ქანთის სააქაძის ქუჩის მოსაფლავების
სამუშაოები მიმდინარეობს გვ.



ჭოგბის
ბეიმი
ყასაში
გვ.

პეი, პინე მოდის ბანდ, მომავლიდან!

მიყვარხართი ყველას! გვ-5.



„ბედნიერია ის, ვისაც
სამშობლოსათვის უძგერს
გული“ გვ.



80 წელი
თქვენს
ვკრძლით

„სიუაქუცის,
ნაკვალეუზე
ანუ „ზოგი ქირი
მარგებელი“ გვ.

ჩემი შალი გვ.

ბუნთხადიური
ვაძითუნა ვ.

გამოიწერეთ
„ახალი ბანთიადი..!“



კასპში სააკაძის ქუჩაზე მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს

კასპში, სააკაძის ქუჩაზე მოასფალტების წინა სამუშაოები მიმდინარეობს. 2011-2012 წლებში სააკაძის ქუჩაზე სამუშაოები ორ ეტაპად ჩატარდა. ქუჩაზე გამოიკვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები - კოროზირებული და გაუვალი საკანალიზაციო (4500 გრძ.მ) და წყლის მაგისტრალი, მოასფალტდა ქუჩის ნაწილიც. მოეწყო საფენმაგლოები

თერმოპლასტის თეთრი საღებავით მოხდებოდა საგზაო ხაზების მონიშვნა, დაირგვებოდა ნარგავები.

მშენებლებმა უკვე მოამზადეს მიწის ვაკისი, საგზაო სამოსი, მოეწყო ბორდიურები, საფენმაგლოები, საავტომობილო მიერთებები, ეზოში შესასვლელი, რკინა-ბეტონის ჭები, სანიაღვრე მილები და სანაგვე ურნის დასადგმელი



(ტროტუარები) და ხეების დასარგავი ადგილები. ქუჩის ერთი მონაკვეთი კი მოასფალტების გარეშე იყო დატოვებული.

მიმდინარე წელს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში, რომელიც სააკაძის ქუჩის მესამე ეტაპს - დარჩენილი 850 გრძივი მეტრის მოასფალტებას ითვალისწინებს შპს "ჯი-აი-დი"-მ გაიმარჯვა, რომელთანაც ხელშეკრულება აგვისტოს თვეში გაფორმდა.

პროექტი ითვალისწინებს მიწის ვაკისის და რკინა-ბეტონის ლენტური კედლის, ანაკრები რკინა-ბეტონის გადამკვეთი ღარების, ბორდიურების,

ადგილები, ქუჩაზე დაირგა ცაცხვის ხეები. მალე მოასფალტების სამუშაოები დაიწყება.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა გოჩიტაშვილი და ქალაქის რწმუნებული ალექსანდრე გზირიშვილი, სააკაძის ქუჩაზე მშენებლებს შეხვდნენ და მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, სააკაძის ქუჩა ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ქუჩა იქნება ქალაქში, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეების და ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას. ამ ქუჩით არა მარტო იქმაც ხოვრებლები, არამედ სოფელ



საგზაო სამოსის, საფენმაგლოებზე ასფალტის, საავტომობილო მიერთებების, ეზოში შესასვლელების, რკინა-ბეტონის ჭების, სანიაღვრე მილების და სანაგვე ურნების ადგილების მოწყობას. ქუჩაზე დაიდგება საგზაო ნიშნები და სამ ზოლად,

კავთისხევის შიდა სახელმწიფო გზით მოსიარულენიც ისარგებლებენ - აღნიშნა გონა გოჩიტაშვილმა.

მოსახლეობა ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებით კმაყოფილია.

დ. კორკომაშვილი.

“ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა სპორტულ მოედანს აშენებს



“ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია”-ს ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ცემენტის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედნის აღდგენა მიმდინარეობს. წლების წინ მოედანი, კალათბურთის მოყვარულთა აქტიური სათამაშო ადგილი და ქარხნის დასახლების ახალგაზრდებისათვის ერთადერთი სპორტული კერა იყო. სპორტული მოედნის აღდგენის იდეის ინიციატორებს, მხარდაჭერა გამოუცხადეს კასპის

ლა გაკეთდება დამცავი ბაფე, რათა ბურთმა მიმდებარე მცხოვრებ ადამიანებს საყოფაცხოვრებო პრობლემები არ შეუქმნას. ადგილის მოსწორება-მოშანდაკების და სპეციალური ბეტონის ხსნარის შემდეგ მოეწყობა მაყურებლის სკამები, დაირგვება მწვანე ნარგავები, დაიგება მაღალხარისხიანი ხელოვნური საფარი. მოედნის სრული აღდგენა წელს ვერ დასრულდება, რადგან ცემენტის სპეციალურ ხსნარს გაშრობა სჭირდება,




მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გონა გოჩიტაშვილმა და ქალაქის რწმუნებულმა ალექსანდრე გზირიშვილმა. ქარხნის ხელმძღვანელებთან ერთად ისინი ესტუმრნენ მშენებლებს და მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს. დავით აბრამიამ, რომელიც “ჰაიდელბერგ კავკასუს” საქცემენტის პროექტმენეჯერია აღნიშნა, რომ მოედანი იქნება არამარტო კალათბურთისთვის, არამედ აქვე განთავსდება მოძრავი მინი ფეხბურთის ორი კარი, რომლის გადაადგილება კალათბურთის მიმდინარეობას ხელს არ შეუშლის.

ხოლო მოედნის საფარის დაგებას სპეციალური ტემპერატურა. საფარის დაგება და სკამების მონტაჟი მომავალ წელს მოხდება, განაცხადა “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას” კასპის ქარხნის დირექტორმა დავით ალუღიშვილმა.

ამჟამად მიმდინარეობს მოედნის კედლის სამუშაოები, რომლის მალ-

- სპორტული მოედნის აღდგენას მივესალმები. ქალაქში რაც მეტი სპორტული კერა იქნება, მით მეტი ჯანმრთელი ბავშვი გვეყოლება. ახალგაზრდები დაკავდებიან სპორტული ცხოვრებით და მოწყდებიან ქუჩის მავნე გავლენას - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გონა გოჩიტაშვილმა.

დალი კორკომაშვილი.



“საბას წვერი დაუსველა რამ ...”

სულხან-საბა ორბელიანი, დიდი მწერალი - მოაზროვნე და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ, რომელიც აგრძელებდა და აღრმავებდა ჩვენს მწერლობაში რეალისტური მიმდინარეობის ტრადიციებს. როცა იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ნაკლებად ფასობდა პროზა, გაბატონებული იყო სალექსო ჟანრები. ამ პირობაში სულხან-საბამ მხატვრულ პროზას აღუდგინა “დიდების დღეი.” მის შემოქმედებაში ჰარმონიულადაა შერწყმული ქართული ბარაქიანი სიტყვის გამომსახველობითი ძალა და სილამაზე. სულხან-საბამ მტკიცე

საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, მისი ენა სადაა და ხალხური, ლაკონური, მოქნილი. საუცხოო ქართულით მან მკაფიოდ გამოხატა თავისი დროის მოწინავე იდეები და მაღალი ზნეობრივი იდეალები. ასეთივე დიდი დეაწლი დასდო პოეზიასაც. იგი გვეკვლინება ვახტანგ VI-ის ყველა კულტურული წამოწყების სულის ჩამდგმელად და იდეურ ხელმძღვანელად. თავისი მწვერთნელისა და მასწავლებლის (მცხეთელი ზედგენიძე ბერუკა) დარად “შვილურად გაზრდილი და განსწავლვე

* გაგრძელება მე-3 გვ.

6 დეკემბერს კასპის კულტურის ცენტრ შპს "ჰარმონია"-ში გაიმართა ილია ჭავჭავაძის, ვალაკტიონ ტაბიძისა და ლადო ასათიანის პრემიების ლაურეატის, კასპის მკვიდრის, პოეტ ვაჟა ოთარაშვილის შემოქმედებითი საღამო. ვაჟა ოთარაშვილი 1955 წელს დაიბადა კასპში, პედაგოგების ოჯახში. მან ოქროს მედალზე დაამთავრა ქალაქის №3 საშუალო სკოლა, ხოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტი წითელ დიპლომზე. შემდეგ ასპირანტურა, კითხულობდა ლექციებს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 1992-1995 წლები საქართველოს პარლამენტის მათემატიკური დეპუტატია კასპის რაიონიდან. მაგრამ თავისი მომავალი კალამს მიანდო და პოეზიას ეზიარა. მისი მუზა დედა, გამორჩეული პედაგოგი ნინო კიტრიაშვილი იყო.



რიულ-ეთნოგრაფიული ბროშურა "სამთავისი", ვრცელი ისტორიოგრაფიული გამოკვლევა "ძველი ანჩისხატის ტაძარი თბილისში". მისი ლექსები ნათარგმნია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ბელორუსულ, აზერბაიჯანულ, ლიტვურ, ყაზახურ ენებზე.

საღამოზე პოეტს მიესალმნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა გოჩიტაშვილი და საჩუქრად მარიამ ღვთისმშობლის ხატი გადასცა, კინორეჟისორი, კინომცოდნე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის

ხელმძღვანელი გოგი დოლიძე, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის პირდაპირი შთამომავალი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი, ჟურნალ "ნადირობა თევზაობა"-ს რედაქტორი ზაზა ქინქლაძე, ქვემო ჭალის, ოკამის და კასპის №3 საჯარო სკოლის პედაგოგები, კასპის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი

**პოეზიის
ბეიმი ყასპში**

ბა გადაუხადა მშობლიური რაიონის ხელმძღვანელებს და მოსახლეობას მისი შემოქმედებითი საღამოს მოწყობისათვის.



მელაძე, რომელმაც საჩუქრად კასპის გერბი გადასცა.

საღამოში მონაწილეობდნენ ან-სამბლები: "ქართლი," "მოურავი" და "რკონი." ვაჟა ოთარაშვილი საღამოს განმავლობაში საკუთარ ლექსებს კითხულობდა, რომლებიც სიყვარულით და პატრიოტიზმითაა აღსავსე. მან მადლო-

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებობა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, სპორტის, განათლების, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და კულტურის დაწესებულებების გაერთიანებული კორკომაშვილი.

სოფლური სარეაბილიტაციო საშუალებები დაიწყო

სოფლის შესასვლელში ამ ორიოდ კვირის წინ მძლავრი ტექნიკა (ბულდოზერები, სატვირთოები) გამოჩნდა. მარტო ხოვლელები და ზემოხანდაკელები კი არა, მიმდებარე სოფლების მოსახლეობაც კი გაკვირვებული დარჩა, იმიტომ რომ თითქოს "ყველასგან მივიწყებული" ხოვლის მოსახლეობა შეეგუა თავის ბედს... არადა, ისტორიული სოფლე, რომელიც სამართლიანად ამყოფს თავისი წინაპრებით, უგზობობის გამო

– მსგავსი მასშტაბური და კაპიტალური სარეაბილიტაციო საშუალებები საერთოდ 20-30 წელიწადში ერთხელ ტარდება და ბუნებრივია, მშენებლები ცდილობენ ყველაფერი თავისი წესისა და რიგის მიხედვით ჩატარდეს. პირველ რიგში დაიწყო გზის საავტომობილო ასფალტბეტონის ფენის მოხსნა-დასაწყოება, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოდა სოფლის თავში, იგულისხმება ზემო ხანდაკის გადასახვევიდან, წლების განმავ-

"საბას წვერი დაუსველა რამ ..."

*** დასასრული.**
ბული" ვახტანგ VI დროს დამუშავდა "ქართლის ცხოვრების" ახალი რედაქცია, ჩამოყალიბდა სამართლის კოდექსი ("ვახტანგის სამართალი"), საადმინისტრაციო წესდებულებანი ("დასტურლამალი"), დაარსდა სტამბა და ამ ყველაფერში სულხან-საბა ორბელიანის ლომის წვლილიცაა. თავად სულხან-საბა დაგვიტოვა მრავალფეროვანი და მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა: მისი მეცნიერული ერუდიციის ნაყოფია ცნობილი "ლექსიკონი," რომელიც დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას; "მოგზაურობა ვეროპაში," რომელიც ამ ეპოქაში აღმოცენებული მემკვიდრეობის ნაწილია; საუკეთესო ნიმუშია ადვანსანიშნავია საბას წვლილი "ქილილა და დამანას" რედაქტირებასა და ლექსად გაწეობაში, ეს შრომა ქართული ვერსიფიკაციის ისტორიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია;

თეიმურაზ I მიერ დაწერილ "ქეთევანიანისათვის" საბას დაუწერია რამდენიმე ანბანთქება და სამი სტროფი დაუმატებია ამ ნაწარმოებისათვის; საბას იგავ-არაკთა კრებული "სიბრძნე სიცრუისა" იგავ-არაკთა ღირებულებით, სენტენცია-აფორიზმების სიუხვითა და შინაარსობრივი დატვირთვით იგავ-არაკული ფანრის ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ინგ ლივორნელის მიერ თარგმნილი; უთარგმნია "წამებანი წინასწარ მეტყველთანი" და სწავლა მეცნიერთათვის თქმული: "ალვიარებ, რომელ არს ღმერთი ან სჯული".

სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 355-ე წლისთავს მიეძღვნა კასპის ბიბლიოთეკაში ჩატარებული თემატური კონფერენცია (26 ნოემბერი, 2013 წელი), რომელსაც უძღვებოდა კასპის ბიბლიოთეკის დირექტორი ვენერა ბესტავაშვილი. კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენებები: სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება (მომხსენებელი ბიბლიოთეკის სპეციალისტი ლიანა მენაბდიშვილი); მხატვრული სიტყვის ოსტატი (მომხსენებელი ბიბლიოთეკის სპეციალისტი ეკატერინე დალაქიშვილი); ლექსიოგრაფი და მეცნიერი (მომხსენებელი ბიბლიოთეკის სპეციალისტი ციცილო ქენქაძე); საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე (მომხსენებელი ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი ეთერ ჩადუნელი); კასპის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, რომლებშიც შესულია სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ნიმუშები, (ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გააკეთა ბიბლიოთეკის სპეციალისტმა მაია აბუაშვილმა).



თავს არიდებდა სტუმრის მოპატიჟებას. ამერიიდან კი, ეს უხერხულობა, უფრო მეტიც, სერიოზული პრობლემა აღარ ექნებოდა ხოვლელებს და არა მხოლოდ მათ. საქმე ის გახლავთ, რომ ხოვლეში დაიწყო გზის სარეაბილიტაციო საშუალებები, რომელსაც აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია "ბილდ ინდრუსტი". ეს არის მასშტაბური პროექტი, ღირებულება შეადგენს 2 მილიონ 119 ათას ლარს.

ლობაში მოუწესრიგებელი მონაკვეთის გასწორებასა და მოშანდაკებას, აქვე გაკეთდება წყალგამტარი არხის ბეტონის კონსტრუქციებით გამაგრება. ერთი სიტყვით, ჩვენ მშენებლების დიდი იმედი გვაქვს, სავარაუდოდ, მომავალი წლის ზაფხულში სოფელს აღდგენილი, სანიადრე სისტემით აღჭურვილი გზა ექნება.

გზის მშენებლები, მათი მესვეურები იმასაც ამბობენ, რომ ეს საშუალებები თვეების განმავლობაში გაგრძელდება და სპეციალისტების გარდა ადგილობრივი მოსახლეობაც (ხოვლელები და ზემო ხანდაკელები) იხეირებს, რადგან ამ საშუალებებს უამრავი მუშახელი დასჭირდება.

რ. ხერჯაშვილი.

მიყვარხართ ყველას!

მოძველო, რომლის გზაზე იმყოფებიან სულმოყოთქმელოც იქონი ქართული. იყოფიან ზღვრები, რა უნდათ მათ, რაზე ოცნებობენ, თქვენთვის, რა სწავლებთ, როგორი საქმიანობა უნდათ და რა გეგმები გაქვთ. რა გეგმები გაქვთ და რა გეგმები გაქვთ. რა გეგმები გაქვთ და რა გეგმები გაქვთ.

რამდენად გინდათ სწავლა და სწავლა. რამდენად გინდათ სწავლა და სწავლა. რამდენად გინდათ სწავლა და სწავლა. რამდენად გინდათ სწავლა და სწავლა.

რა გეგმები გაქვთ და რა გეგმები გაქვთ. რა გეგმები გაქვთ და რა გეგმები გაქვთ. რა გეგმები გაქვთ და რა გეგმები გაქვთ.

რამდენად გინდათ სწავლა და სწავლა. რამდენად გინდათ სწავლა და სწავლა.



არეულ ფიქრებში სიმართლეც იმალება, მაგრამ მისი თქმა, უბრალოდ, გვეძინება.

შემდეგ ყველაფერი იწყება თავიდან, ის რაც შემოგვრჩა წარსულის კვალიდან, ნატკენი ჭრილობების ტკივილი გრძელდება ... და ისევ ყველაფერი წარსულში ბრუნდება.

მარია გივილაშვილი

ცხოვრება ზოგჯერ ცხოვრება დიდი ტანჯვაა, ზოგჯერ კი მუდამ მრავლის მოძებნი, ზოგჯერ ცხოვრება უღრუბლო ცაა, ზოგჯერ კი მუდამ ღრუბლის მოძებნი. როდესაც გიჭირს, ყველა ლოცულობს, უფალი მათთვის მუდამ შემწვა, როცა გეტკივა და გული ტანჯულობს, ჩვენს გონებაში ალბათ დამეა. ყველას ცხოვრება ღზინა როდია, ხშირად ბინდია, ხშირად ნისლია, ხშირად მოუგლენს ყველას სატანჯველს, ტანჯვა კი ალბათ სუსტის ჭირია. ჩვენ ცხოვრებასთან ერთი კითხვა გვაქვს,

რად უკლენს ყველას ამდენ სატანჯველს? რად გეტკივა, ან კი რატომ ტანჯულობს? რად ვიბრძვი, ან კი რატომ გვაწვალბებს? ალბათ, ეს არის ცხოვრების არსი, ხან გულს გეტკენს, ხან კი ყველას გვახარებს, ხან მდიდარნი ვართ, ხან კი ღარიბი, მაგრამ ყოველთვის რაღაც გვახარებს. მე ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემ, ვერ პატარა ვარ, ალბათ ვერ ვხვდები, რომ გავიზრდები, მე პასუხს ვაპყენ, ყველა იმ ტკივილს, რასაც შევხვდები.

ნინო გივილაშვილი

მე რომ ხატვა შემეძლოს მე რომ ხატვა შემეძლოს, მითებს მართლად ვაქცევდი; მე რომ ხატვა შემეძლოს, სულს არასდროს დავცემდი. დავხატავდი ყველაფერს - რაც კი ქვეყნად ბევრია, დავხატავდი მათხოვარს, რომლის თვალზეც ცრემლია; დავხატავდი იმ გრძობებს ... გაყინული ბევრია, იმედი, რომ არა აქვთ, მაინც, რომ მოელიან ... დავხატავდი დილის ცვარს, სითეთრე რომ თაოსნობს; დავხატავდი მეთევზეს, შორს, ზღვაში რომ ნაოსნობს;

დავხატავდი სამშობლოს, ათასფერად, ნათელად, დავხატავდი იმ გრძობებს, გული რომ ვერ ატევა, დავხატავდი იმ სიბოძს - ყველგან რომ მოელიან, ვისაც დიდად აკლია, მართლსაღი ბევრია... დავხატავდი იმ გრძობებს, გული, რომ იღიმება, კალაპოტს რომ არ იცვლის, სულ წინ მიედინება. დავხატავდი ღვთის თვალს სინათლით რომ ივსება, სულ ჩვენთვის რომ ლოცულობს, ხშირად რომ იღიმება. დავხატავდი იმ ბავშვებს, მშობლებს რომ მოელიან, დავხატავდი მათ ხელს გათბობას რომ ელიან, დავხატავდი სამშობლოს ცისარტყელას ფერებით, დავხატავდი სამშობლოს გულით რომ ვეფერებით. მე რომ ხატვა შემეძლოს, მითებს მართლად ვაქცევდი, ფუნჯებს კონად შეეკრავდი, კაკკასიონს ვაქებდი.

ნათია თათარაშვილი

როგორ მინდოდა, მეც დაბადება, მეც ვშობილიყავ ამ ქვეყანაზე, მინდოდა, მეგრძნო დედის შეხება, მისი სათუთი ხელის სინაზე. მინდოდა, მეთქვა პირველად დედა, მინდოდა, ფეხი ამეღვა შენთან, ძილის წინ ჩემთვის გემღერა მშვიდად, წამომყოლოდი ცხოვრების გიდად. მინდოდა, შენთვის მეყიდა ია, და მომელოცა გულით რვა მარტი, მინდოდა, გეთქვა: რა ლამაზია, შენთვის მომეძვინა პატარა ხატი. მინდოდა, შენი რჩევის მოსმენა; როგორ შეგემლო ამის მოთმენა... მინდოდა, შენი ღიმილის ნახვა, ეს აუხდენელ ოცნებას ჰგავდა. შენ ვერ შეძელი ცხრა თვე მოთმენა, უკვე ჩაჭიდულს ხელი გამიშვი, გული გტკიოდა, ცრემლი გდიოდა, თუმცა უშობი ზეცას გამიშვი.

მარია გივილაშვილი

შემომჩვევია გალაკტიონობა, მე პოეტობაც მომლომებია, მე ჩემ ცოდვებთან თავიც დამიხრია, მე შეცდომისთვის დღეებიც დამითვლია, მე უფსკრულისკენ თამამად ვაქცევულვარ, მე ვაქცევისთვის ფრენაც მლომებია, მე შეცდომისთვის ტკივილს მოვუკვლივარ, აცახცახებულს ცრემლიც უდენია, დამშვიდებისთვის ძალა არ მქონებია, ყველაზე მეტად მხოლოდ ეს მლომებია, თურმე, მყვარებია ცაში მათი ცქერა, რატომ მლომებია მაღლა მე გაფრენა, თურმე, დედამიწა ყოფილა ჯოჯოხეთი, ნიღბებს ატარებენ, სცენას თამაშობენ, თურმე, უნიჭოებს კუთხეში აყენებენ, როგორც უსწორდებათ სცენას ისე ცვლიან ... დამით ხეტიალში თავს ვირთობ მაღულად, * გავრძელება მე-5 გვ.

მიუჯნობით ყველას!

* დასასრული

მე ღმერთთან საუბარს ვახერხებ
საოცრად ...
იცი, შეგძლება მალულად
დაცინვა,
ზურგს უკან ყურება და
სიტყვების ძახება,
იცი, შეგძლება თავი მოიტყუო,
სხვაც მოატყუო და
დაიწყო თამაში,
უფსკრულთან დადგე და
ნაპირთან იცეკვო,
გადავარდნისას ღმერთიც
კი ინატრო.
უნეტოდ პოეტმა ლექსი
რომ დაწეროს,
მხატვარმა მზე რომ
ღამეში დახატოს,
ცოდვილმა ცოდვისთვის
ცოდვა რომ ინანოს,
სიყვარულისთვის თავი რომ
დაკარგოს,
გალაკტიონივით მინდორში იაროს,
მთვრალმა,
ღამეები ტირილში ატაროს,
ვისაც დაუკარგავს, სიკვდილს
მიაბარა,
გულში შეუნახავს ტკივილს
შეუმჩნევლად,
თურმე, დედამიწა ყოფილა
ჯოჯოხეთი,
კრიტიკოსობენ და ნიღბებს
არც კი ცვლიან!..

ზაურ მარაბაშვილი

მე შეიძლება ყოველ წამს მოვკვდე,
მინდა დაეტოვო რაღაც უბრალო,
მე შეიძლება ცეცხლშიაც მოვხვდე,
მაშინ დავიწყო: ჰოი უფალო.
მინდა დავწერო უსულო რითმა.
მინდა რომ მე შენ
გულწრფელად გითხრა
რომ მე არა ვარ უფლის რისხვა,
მინდა რომ ესეც
სტროფებით გითხრა.
წავალ, დარჩება ქვაზე სურათი,
დაეწერება ასო სულ ათი.
და ეხატება მასზედ გელათი,
გვერდით ედება ერთი ბარათი,
შიგ ეწერება: მიყვარხარო ყველა,
ვერ დაგივიწყებთ ვერასდროს, ვერა.

თაყარ მუხრანბერი

სიტყვებს ვეღარ ვპოულობ,
ღმერთო რითი დავიწყო?
მთელი ჩემი ცხოვრება,
გაბნეული რითმები



მინდა იყოს მარტივი,
რომ ცხოვრება ავიწყო ...
მივხვდი, ლოცვის გარეშე
უბედური ვიქნები!
ღმერთო, მე რა მოგიყვებ?
ჩემზე კარგად შენ იცი ...
ღმერთო, შენი ლოცვების
ბევრჯერ აღარც მჯეროდა,
ბევრჯერ დამირღვევია
პირობები და ფიცი,
მაშინ, როცა ჩემში უფრო
ბნელი მხარე მღეროდა,
როცა გრძობები აღარა გვაქვს,
მსგავსი ვართ მკვდრების.
ჩვენი ცხოვრება სახიფათო
საბაგიროა,
როცა გვიმწყვებთ,
უფრო მარტივ,
ბნელ გზაზე ვდგებით;
როცა ვერ ვხვდებით,
შენთან ყოფნა რა საჭიროა ...
გზები - ბეწვის ხიდეები
ცოდვით დანაღმულია,
როცა გშორდებით -
სიბნელეს რომ სიბნელე
ერთვის ...
ვეღარ გავუძლებ,
ფიქრობ, როცა ჩემიც გულია!
ვხვდები, რაც არ მაქვს
და მაკლია,
რწმენაა ღმერთის.
ახლა, რასაც ყვებიან,
ზღაპრებია, მითია ...
ახლა ღმერთო მოვედი,
ყველაფერი მეც მესმის!

აღარ მჯერა, თუ რაც ხდება,
მოსვლაც შემთხვევითია,
ზოგჯერ ვისაც არ მოელი,
სწორედ მაშინ ის გესვრის.
ახლა შენი გზა ჩემთვის
წმინდა ხატად ანთია,
ახლა ამ გზიდან გადახვევა
აღარ მსურს, არა!
ლოცვა ვისწავლე,
შენ მყავხარ,
ცული დამითმია,
შენ მყავხარ გვერდით
და სიბნელე კმარა!

თაყარ მუხრანბერი

საქართველო!

ცალ მუხლზე დაჩოქილო, უწყალოდ
ნაწამებო!
სულ სისხლის ცრემლებად
დაღვრილო საქართველო!
რამდენჯერ შენს შვილებს
შენ თვალწინ უწამიათ?!
მახვილი მკერდიდან
გულამდე უტანიათ,
ამ მიწამ რამდენჯერ
განვლო ვარამი,
ქალებმაც რამდენჯერ
აისხეს აბჯარი,
უწვერო ყმაწვილებს რამდენჯერ
უბრძოლიათ,
რამდენჯერ მშობლებსაც შვილები
უგლოვიათ ...
ამ მიწამ რამდენჯერ განვლო
ვარამი,
რამდენჯერ ატარა მან გლოვის

ქამარი,
ასჯერ რომ დაეცე, ასერთხელ აგაყ-
ენოთ!
ასჯერ რომ ატირდე, ათასჯერ აგ-
ამღეროთ!
გმირების სამშობლო, დიადო,
სანატრელო!
ყოველთვის იმარჯვე შენ, ჩვენი
საქართველო!

მარიამ მყინლაძე

თრიალეთის ქედი

ახილულა მთების კალთა,
გზას ვერ იკვლევს ბრძენთა ბრძენი,
მის მშვენიერას ვერ დაფარავს,
მზის და მთვარის სხვა ელფერი.
ჩემი სკოლიდან რომ მოჩანს,
ის მთა არის ყველაფერი,
თითქოს უხმოდ საუბრობს და
ჩვენც ვპასუხობთ მღელვარებით...
ის დიდია, ის მშვიდია,
ის დილაა, ყოველ დღით,
მის საყვარელ ბალახ-ბულახს
დაჰკრავს სილამაზის ფერი.

რეზა ლამბაძე

ჩემო პატარავ

როგორ მიყვარს რომ ასე კარგი
ხარ,
ჩემი პატარა გულის დარდი ხარ.
როგორ გითხრა რომ ასე
მაკლიხარ,
ჩემო პატარავ, ასე ლალი ხარ ...
ხან ჩვენი გრძობით საუბარს
ვლამობთ,
ხან პატარა ხარ, ხან ქალბატონი,
ხან კამათისას მალულად
ვდარდობთ,
ხანაც ლამაზად გვიმღერს იაღონი.
ჩემი იდეალი მხოლოდ შენშია!
მხოლოდ შენშია, ჩემთვის სილამაზე,
ჩემო საოცრება, მხოლოდ შენ
გქვია!
მხოლოდ შენ გქვია, ჩემი აზრი ცხ-
ოვრებაზე ...
ეს შემოდგომა ჩემთვის ნულია!
მე მიყვარს მხოლოდ
ჩვენი შემოდგომა...
სიჩუმის უკან ხომ სიყვარულია!
მე მიყვარს მხოლოდ ის წრფელი
გრძობა ...
მარტოობის ნაცვლად,
ოქროს ხალიჩებზე,
სიყვარული დააბიჯებს წრფელი,
შემოდგომის ფერად,
ნაფერ გზებზე,
მარტოობას ენაცვლება
სიყვარული ჩვენი!

სპორტი

მინისტრის საჩუქარი

ხოვლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საქართველოს სპორტი-სა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან საჩუქარი მიიღეს.
საქმე ის გახლავთ, რომ შემოდგომის მიწურულს ხოვლის საჯარო სკოლას ბატონი ლევან ყიფიანი სტუმრობდა და სწორედ იმ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ხოვლელ მოსწავლეებს სპორტული ინვენტარით დაასაჩუქრებდა... მინისტრმა დანაპირები შეასრულა და ამ დღეებში სამინისტროდან ახალგაზრდული დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ივანე ჩუბინიძემ და დავით ჭულუხაძემ ხოვლელ ბავშვებს საჩუ-

ქრად ჩამოუტანეს ჩოგბურთის სათამაშო მაგიდა, ფეხბურთის ბურთები (20 ცალი) და სპორტული გადასაცმელი (მაისური 20 ცალი).
სპორტული ინვენტარის გადაცემას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ჯამბოლატ ქაშხაძე და სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი. გახარებული მოსწავლეები ემოციებს ვერ ფარავდნენ. სკოლის დირექტორმა ცისანა ედიშერაშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა სამინისტროდან ჩამოსულ სტუმრებს სკოლის ხელშეწყობისა და დაფასებისათვის.



ქრისტიანული გამოფენა

*საქართველოს დამსახურებული მხატვარი, აკადემიკოსი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილი დაიბადა 1930 წლის 12 ივნისს ხაშურის რაიონის სოფ. სავანის უბანში.

დაამთავრა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ სამხატვრო აკადემია.

რეგულარულად მონაწილეობდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო გამოფენებზე.

1975-1980 წლებში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილეობაში.

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ჰქონდა გამოფენები. საბერძნეთში, ქ. სალონიკში აქვს მონატული ორი პანო. არის მრავალი წიგნის ილუსტრატორი.



ტრადიციულად კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი ინტელიგენციის, მოსწავლე-ახალგაზრდობის თავშეყრისა და უამრავი საინტერესო შეხვედრის გულმხურვალე მასპინძელია. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი გახლავთ ამ რამდენიმე დღის წინ გამართული კულტურული ღონისძიება, რომელიც მხატვარ ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილის ნამუშევრების გამოფენას მიეძღვნა...

პერსონალურ გამოფენაზე მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ განათლებისა და კულტურის

მუშაკები, მოსწავლეები და ახალგაზრდები, მხატვრის უახლოესი მეგობრები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, დიდი ინტერესით დაათვალიერეს მხატვრის (ისტორიულ თემებზე შექმნილი) ნამუშევრები.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. შეხვედრაზე ისაუბრეს: მხატვარმა იორამ იმედაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ, შ.პ.ს. "კასპიელექტროაპარატის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ უმანგი მოსიაშვილმა და სხვებმა. საგამოფენო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა გონიტაშვილმა, მან თავის

გამოსვლაში მხატვარს მიულოცა გამოფენის გახსნა, ხოლო ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა აქტიური თანამშრომლობისათვის. ღონისძიებას ესწრებოდა კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული სანდრო გზირიშვილი.

ღონისძიების ბოლოს დამსწრე საზოგადოებას გულითადი მადლობა გადაუხადა მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა საინტერესო შეხვედრისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.



“ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული”



კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით “ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული”.

ღონისძიება მოამზადეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებმა მანანა ყაბანაშვილმა და ნანა მერებაშვილმა. მონაწილეობდნენ: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი და ისტორიის, მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები: დავით მდლაფერიძე, ლალი მუკბანანი, მარიამ კაციაშვილი, სალომე ქობულაშვილი, ქრისტინე ბუთხუზი, თეონა თაბუკაშვილი, ელიზავეტ ქურთაული, ჯონი ჯავახიშვილი, გიორგი პოლოცკი, ლუკა ნოდარიშვილი, ნათია სოფურაშვილი, მარიამ მენაბდიშვილი, მარიამ ღვინიაშვილი, სოფო ილურიძე, თამარ ზვთისიაშვილი, ნატა მოსიაშვილი, ნინუცა მეშველაშვილი, სალომე ჯაბაური, ანი კაპანაძე, მარიამ აბულაძე, ნათია მაისურაძე, ლიკა გამხიტაშვილი, მარიამ ბეჟიტაშვილი, თაკო

ბერიძე, სალომე კორხელი, ხატია სამინაშვილი, ქეთი ბერიაშვილი.

ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მოსწავლეები მხატვრულად კითხულობდნენ ამონარიდებს ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება ჩატარდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, სადაც გამოფენილია მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილის ნახატები. საგულისხმოა ისიც, რომ მოსწავლეთა შემოქმედებას გაეცნო მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი, რომელმაც პასუხი გასცა ბავშვების შეკითხვებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ნუნუ ყიფიანი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები. მთელი შეხვედრის განმავლობაში მღეროდა ბავშვთა ანსამბლი, ლოტბარი კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი ბელა კობიაშვილი.

რ. ქართლელიშვილი

ქველმოქმედება

ჩემი შალი

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი, მრავალი თაობის აღმზრდელი გრაკლის საბავშვო ბაღი, რომელიც ყოველთვის თავს იწონებდა თავისი "კურსდამთავრებულებით", ბოლო რამდენიმე წელია, ყველასგან, მათ შორის, აღსაზრდელებისაგანაც მიტოვებული აღმოჩნდა...

მიზეზი? არ გაინტერესებთ, რატომ შეწყვიტეს ბავშვებმა ბაღში სიარული?



მარტო აღსაზრდელები კი არა, დიდებიც ერიდებოდნენ ბაღში მისვლას, მოძველებულ, ნგრევას პირას მისულ შენობაში შესვლა კი არა, მის შორიანხლოს გავლაც კი საშიშია.

უბალოდ დარჩენილი სოფლის ამბავი, პატარებისა და მათი მშობლების გასაჭირი სოფლის მკვიდრმა შოთა ჯავახიშვილმა გაიგო, დიდხანს არ უყოფმანია, თავისი საცხოვრებელი ბინა (თვითონ თბილისში ცხოვრობს) დროებით, უსასყიდლოდ საბავშვო ბაღს დაუთმო.

— გვეგონა, რომ ბაღი დაიკეტებოდა, მაგრამ ჩვენმა თანასოფელმა, მაღლიანმა ადამიანმა გვიხსნა გასაჭირ-



ისაგან, — საუბრობს ბაღის გამგე ნანა კუჭაშვილი-გრაკალიშვილი, — ჩვენი ბაღის გოგო-ბიჭებმა წელს სწორედ ჯავახიშვილების კარ-მიდამო ხალისით და ყრიათულით აავსეს. სასწავლო წლის დაწყებამდე საგულდაგულოდ მოემზადეთ, ჩავატარეთ პატარა, ეგრეთ წოდებული, "კოსმეტიკური" სამუშაოები, მოვაწესრიგეთ ბავშვთა ოთახი, სამზარეულო, ეზო-მიდამო. ყველა პირობა შევქმენით იმისათვის, რომ ბავშვებმა, მათმა მშობლებმა თავი დაცულად იგრძნონ, მიიღონ შესაფერისი აღზრდა.

ნამდვილად კმაყოფილი არიან მშობლები, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აისახა კიდევ ბავშვთა კონტინენტზე. წინა წლებში ბაღს ორი ან სამი ბავშვი ჰყავდა, წელს კი, გამოსაშვებ ჯგუფში თორმეტი აღსაზრდელია. მზრუნველობა და გულისხმიერება, ყურადღება არ აკლიათ გრაკელ პატარებს. ბაღის გამგე თუ მასწავლებელი, ძიძა, მზარეული უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას, ამიტომაც არის, რომ მომავალი წლიდან ბავშვთა კონტინენტის გაზრდას ელოდებიან.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

შეცდომების თავიდან ასაცილებლად

ამ რამდენიმე ხნის წინ მოულოდნელ და ერთობ უხერხულ სიჭყაყაში აღმოვჩნდით. უერძოდ საინცერესო და საქმიან შეხვედრას მავან ქართველთა ზგუფი ამცხივებდა ჩვენებურია უცვების ერთ-ერთი ოვსენბა "სივფუცაქეო." ჰირველ გაგონებაზე გაგვეცინა, მაგრამ მეორე ზგუფმა რომ დანტოიებით გაიმეორა- "სივფუცაქე და სივფუცაქეო", როგორც სულმნათი ილია იყყო "საქრასტი რომ არ ყოფილიყო", მართლაც გულანად გავიცივებდით.

ჩვენ გრამატიკა-რითორიკა-მართლწერაზე ვდარდობდით, საქმიე უი მოულოდნელად გაგრძელდა. უერძოდ რივე ზგუფიდან ბარე სამ-სამი უაქი მოვიდა ჩვენთან და გვიმცხივებდა სი-ცყვა "სივფუცაქე" მე უი არა სხვამ თქვაო. აი, აქ უი მართლაც შეიძლება გაბრახება სხვადსხვა, სასურველ თანამდებობებზე დასანიშნად გამზადებულნი, სანავშვო ბატის აღსაზრდელთა ერთმანეთისკენ აღვერდნენ ხელს.

ჩვენ ყველა ამბისცანას ავეხსენიოთ, რომ ჰრობტემა სწორედ იმაში მდგომარეობს რომ ერთმა უი არა რიმა ზგუფმა ამცხივა "სივფუცაქი" გამორჩეული უცვები ცხოვრობენ საქართველოში. მოგეხსენებათ, როდენობრიობა იძენს ოვსობრიობის ხარისხს. ჩვენ უი "გვეყო ვაფუცაქობა" და იმავე ოავყროლობაზე, მოვსხსენეთ საზოგადოებას რომ "სივფუცაქე" უი არა ვაფუცაქობა ქართველი უაქის ოვსებბა წერა-უიოხვის ცოდნასთან ერთად.

"ზოგი ჭირი მარგებელთა" - ი და ასე დაიბადა ჩვენ გაზეთში სხალი რუბრიკა. იმედია, გამოგადგებათ. არ გამოგადგებათ და ცინცხალი მავალითებით მოხვდებით ჩვენს რუბრიკაში.

*არ არის სწორი ფორმა "სივფუცაქე," სწორია «ვაფუცაქობა».

*არ არის სწორი ფორმა "რამდენიმე," სწორია «რამდენიმე».

*და კავშირით გაერთიანებული ერთი და იგივე სიტყვები იწერება ერთად, მაგ.: სხვადასხვა, თავიდათავი;

*არ არის სწორი ფორმა "მთელს მსოფლიოში" (ან მთელს ქვეყანაზე), სწორია «მთელ მსოფლიოში» (მთელ ქვეყანაზე).

*არ არის სწორი ფორმა "ჩემს მიერ," "ჩემს წინ," "ჩემის მხრივ," "ერთის მხრივ." სწორი ფორმებია: «ჩემ მიერ, ჩემ წინ, ჩემი მხრივ, ერთი მხრივ», მაგრამ გამონაკლისია «ჩემს უკან». "ს" იხმარება მაშინ, როცა კუთვნილებაა: ჩემს სახლს მიწისძვრამ ვერაფერი დააკლო.

*გწერთ «რევიონული», "რევიონალური", აგრეთვე, სწორი ფორმაა «რეკომენდებული».

*ეცადეთ, არ დაწეროთ "იგი თვის" (რუსულის კალკია), სტილისტიკურად სწორია "მიიწინვეს," ან "მისი აზრით," "ის ფიქრობს".

*ქართული კონსტრუქცია არ არის: "მონდება განხილვა", ქართულ ზმნას არ უყვარს პასიური ფორმა. სწორი ფორმაა „განიხილება." აგრეთვე, არასწორია "მონაწილეობას იღებს", სწორია „მონაწილეობს" მაგრამ — „მონაწილეობას მიიღებს" ან „მონაწილეობა მიიღო."

*ერიდეთ პირის ნაცვალსახელების ხმარებას იქ, სადაც ეს საჭირო არ არის, ქართული ზმნა თავად გამოხატავს პირს, მაგ, არასწორია: "მე ვფიქრობ, რომ", სწორია: «ვფიქრობ, რომ».

გაგრძელება, რა თქმა უნდა, იქნება.

სპორტი

თსის მელონელი

ამას წინათ კასპის ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა ლევან ძამუკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური პირველობა კარატეში. შეჯიბრში მონაწილეობდნენ კასპის, მცხეთის, ლუშეთის, წეროვანის, თბილისისა და სომხეთის სხვადასხვა კლუბების კარატისტები.

შეჯიბრი ჩატარდა ასაკობრივ ჯგუფებში როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში. 16 წლამდე ასაკის კარატისტთა შორის გათამაშდა ლევან ძამუკაშვილის სახელობის თასი, რომელიც დააწესა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და სპორტის დაწესებულებების გაერთიანებამ.

ასპარეზობა კასპელ კარატისტთა დიდი უპირატესობით წარმართა. კლუბ "ზვადის" წევრებმა მორიგი წარმატებით ისახელეს თავი და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ კასპელთა გუნდი ერთი ძლიერია რეგიონში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სპორტის დაწესებულებების გაერთიანების მიერ დაწესებულ ლევან ძამუკაშვილის სახელობის თასის მოსაპოვებლად გამართულ დამატებით შეჯიბრში (16 წლის კარატისტთა შორის) ყველას აჯობა კასპელმა სპორტსმენმა ბობა დალაქიშვილმა და დაწესებული თასის მფლობელი გახდა.

ჩემპიონატზე გამარჯვებული კლუბ "ზვადის" კარატისტები: მარიამ მელაძე (14-17 წ.),



მესამე ადგილი; ნიკოლოზ თხინვალი (6-7 წ.), მესამე ადგილი; გიორგი ქესაური (10-11 წ.), პირველი ადგილი; თორნიკე მურღული, მსოფლიო პრიზიორი (12-13 წ.), მესამე ადგილი; დავით სულუაშვილი (14-15 წ.), მესამე ადგილი; თორნიკე დავლაშვილი (14-15 წ.), პირველი ადგილი; გიორგი გოჩიტაშვილი, ევროპის პრიზიორი (+18 წ.), მესამე ადგილი; ილია დალაქიშვილი, ევროპის ჩემპიონი (+18 წ.), მესამე ადგილი; იასე კაიშაური, ევროპის ჩემპიონი (+18 წ.), მეორე ადგილი.

სპორტი ადგილზე გასულ სპორტსმენებს შესაბამისი ხარისხის დიპლომები და მედლები გადასცა, მიღწეული წარმატებები მიულოცა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეებმა გონა გოჩიტაშვილმა.

დავით დალაქიშვილი კლუბ "ზვადის" პრეზიდენტი.

